ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 154

ქალაქი ქუთაისი 26 დეკემბერი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N 18 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N18 განკარგულება.

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^2$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 2^2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში წევრების წარდგენის სისწორის შემოწმების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 23 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ“ და გამომდინარე აქედან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

1. **ქებულაძე ბექა**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე;
2. **ჯუღელი თეა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;
3. **ჩიხლაძე მანანა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
მას. №--265-

4. **ნიჟარაძე მარეხ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

5. **ხამაშურიძე ბესიკ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

6. **ბიბილეიშვილი ჯემალ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ;

7. **გაბუნია კახაბერ**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

8. **არველაძე ხათუნა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

9. **მესხი თედო**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

10. **ხურციძე ქეთევან**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

11. **კოხრეიძე ანა**, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ;

12. **ჩიკვაშვილი ნინო**, რომელიც წარმოდგენილია **პირადი განცხადების** საფუძველზე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია